გიორგი პაპავა

ალკალას უნივერსიტეტი, ესპანეთი

კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა

,,Erasmus+ გაცვლით პროგრამით წასვლა ალკალას უნივერსიტეტში, არა უბრალოდ სასწავლო, არამედ ბევრად დიდი გამოცდილება იყო. ვაფასებ კავკასიის უნივერსიტეტის ასეთ პროგრამებში აქტიურობას, რადგან ეს ერთგვარი ნაბიჯია ევროპისკენ და ერის განვითარებისკენ. ალკალაში ბევრი ეროვნების ადამიანს შევხვდი და თითოეული ინტერაქცია მაცნობდა სამყაროს სხვადასხვა კულტურას.

ეს აკადემიური გამოცდილება იყო განსაკუთრებული რადგან მომიწია მსოფლიო დონის ლექტორებთან სწავლა, მათ არამარტო განმანათლეს, არამედ უფრო ცნობისმოყვარე გამხადეს ჩემი სფეროს მიმართ და მოტივაცია მომცეს, რომ უფრო მეტი ვიმუშაო ჩემს თავზე.

ესპანეთი ზოგადად გამოირჩევა კულტურით და გარემოთი, ნამდვილად შესანიშნავი იყო მითუმეტეს ალკალა. ისტორიული ქუჩები, რომელზეც ყოველ თვე ფესტივალი იმართებოდა ძალიან საინტერესო იყო, ყოველდღე ცნობილი ესპანელი მწერლის, სერვანტესის, სახლ-მუზეუმს ვხედავდი. უნივერსიტეტის შენობაც არანაკლები ისტორიული ძეგლია, დიდი ისტორია ახლავს და პირველად ფეხი, რომ შევდგი ძალიან მომეწონა.''